

შპს „წინანდალი რეზორტი და სპა“ (ს/კ 431178815)

განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „წინანდალი რეზორტი და სპა“ (ყოფ. „ღვინის სამყარო“) შემდგომში „საზოგადოება“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლის 03 ოქტომბერს საიდენტიფიკაციო ნომრით 431178815.

1.2. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- სასტუმროსა და სასტუმრო მომსახურების ორგანიზება;
- ყურძნის მოყვანა;
- ღვინის წარმოება;
- კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა.

1.3. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1. ორგანიზაციის მიერ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება მეხუთედ.

2.2. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი.

2.3. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2020-2023 წლების ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე.

2.4. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით.

2.5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით.

2.6. კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის

სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

- 2.7. არამატერიალური აქტივი არის კომპანიის ლოგო, რომელიც ასახულია თავდაპირველი ღირებულებით.
- 2.8. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში.
- 2.9. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - საქონლის მიწოდების შემდეგ, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.
- 2.10. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან ხარჯებში.
- 2.11. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საპენსიო გადასახადი (ასაკის მიხედვით) და საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ.
- 2.12. ბანკის სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.
- 2.13. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).
- 2.14. ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.
- 2.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.
- 2.16. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

შპს „წინანდალი რეზორტი და სპა“ (ს/კ 431178815)

ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობა 31.12.2023

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1	39.00	60.00	1,868,463.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2		14,348.00	71,392.00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები			9,032.00	4,054.00
მარაგები	3	20,000.00	121,338.00	119,974.00
სხვა არამატერიალური აქტივები	4	383.00	383.00	383.00
ძირითადი საშუალებები		2,654,594.00	2,857,649.00	2,918,705.00
სულ აქტივები	-	<u>2,675,016.00</u>	<u>3,002,810.00</u>	<u>4,982,971.00</u>
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	5	64,165.00	230,305.00	260,773.00
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8		20,823.00	28,860.00
საგადასახადო ვალდებულებები	6		44,714.00	29,742.00
გრძელვადიანი სასესხები სასხრები	7	2,261,228.00	1,852,561.00	3,703,274.00
სხვა ვალდებულებები	8		11,093.00	
სულ ვალდებულებები		<u>2,325,393.00</u>	<u>2,159,496.00</u>	<u>4,022,649.00</u>
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი	9	1,333,119.00	1,333,119.00	1,333,119.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(983,496.00)	(489,805.00)	(372,797.00)
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>349,623.00</u>	<u>843,314.00</u>	<u>960,322.00</u>
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		<u>2,675,016.00</u>	<u>3,002,810.00</u>	<u>4,982,971.00</u>

შპს „წინანდალი რეზორტი და სპა“-ს დირექტორი:



/ნ. ჯაყელი/

შპს „წინანდალი რეზორტი და სპა“ (ს/კ 431178815)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

#	დასახელება	თანხა
1	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	420,711.00
2	გაცემული სესხის დაბრუნება	0.00
3	დამფუძნებლის შემონატანი	0.00
	სულ შემოსავალი	420,711.00
	გასავალი	
1	მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულება	115,570.00
2	ხელფასი	78,755.00
3	საგადასახადო ვალდებულება	0.00
	სასესხო ვალდებულება	31,228.00
	საპროცენტო ხარჯი	192,952.00
	ბანკის მომსახურება	1,102.00
	არასაოპერაციო ზარალი	1,125.00
	სულ გასავალი	420,732.00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	60.00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	39.00

შპს „წინანდალი რეზორტი და სპა“-ს დირექტორი:



/ნ. ჯაყელი/

შპს „წინანდალი რეზორტი და სპა“ (ს/კ 431178815)

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლის, ხარჯის და გაუნაწილებელი მოგების (ზარალის) ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
შემოსავალი		
საქონლის გაყიდვიდან	-	2,924.00
მომსახურების გაწევიდან	356,535.00	438,380.00
სულ შემოსავალი	356,535.00	441,304.00
ხარჯი		
მასალის თვითღირებულება	(406,321.00)	(95,065.00)
დასაქმებულთა ანაზღაურება	(78,755.00)	(26,245.00)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(141,465.00)	(114,546.00)
საპროცენტო ხარჯი	(192,952.00)	(131,562.00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(30,733.00)	(190,934.00)
სულ ხარჯი	(850,226.00)	(558,352.00)
საოპერაციო მოგება / ზარალი	(493,691.00)	(117,048.00)

შპს „წინანდალი რეზორტი და სპა“-ს დირექტორი:

ნ. ჯაყელი

/ნ. ჯაყელი/

შპს „წინანდალი რეზორტი და სპა“ (ს/კ 431178815)

ფული და ფულადი ექვივალენტები

#	დასახელება	31/12/2023
1	თანხა საბანკო ანგარიშზე	-
2	ნაღდი ფული სალაროში ლარებში	39.00
	სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	39.00

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

#	დასახელება	31/12/2023
1	საქართველოს ბანკი	2,261,228.00
2	სულ სასესხო ვალდებულებები	2,261,228.00

გაცემული ხელფასი და სხვა ვალდებულებები

#	დასახელება	31/12/2023
1	გაცემული ხელფასები	78,755.00
2	ვალდებულება საწ. პერსონალის წინაძე	-
	სულ	78,755.00

შპს „წინანდალი რეზორტი და სპა“-ს დირექტორი:



/ნ. ჯაყელი/

შპს „წინანდალი რეზორტი და სპა“ (ს/კ 431178815)

კაპიტალი

#	დასახელება	დაუფარავი ზარალი	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(489,805.00)	1,333,119.00	843,314.00
2	ზარალი	(493,691.00)		(493,691.00)
	ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(983,496.00)	1,333,119.00	349,623.00

შპს „წინანდალი რეზორტი და სპა“-ს დირექტორი:

6. 

/ნ. ჯაყელი/